

572  
1981

ISSN 0132-3005

ՅՐԱԳՆԵՏՆԻ  
ՇՆՆՈՒՄՈՒՅՅ



1981 ՈՅԸՆՈՆՈ N7

ԵՄՆ

გვიღებ  
სწავლობ  
ქნებათ




# განათების ღირებულებას უაზარტოებენ ნიქელს

გიორგი შირთაელი

ბრუნავს ექსკავატორი,  
რა ტორი აქვს, რა ტორი,  
მობოთხოთე ტახია,  
მთა ეშვებით დახია.  
ბრდღენის და აღარ ეშვება  
გორებს მაგარეშვება.  
შუბლით, როგორც მოზვერი,  
ბულრაობს ბულდოზერი.  
გრეიდერი არნადით  
გზას ურანდავს ლიანდაგს,  
დიდი უთო დაგორავს,  
აუთოებს ნიადაგს.  
ანყობილი რკინიგზა  
მოაქვს ამწე რონოდას,  
ჭანჭიკებით აბამენ  
წინა თავზე ბოლო თავს.  
ასე გამზადებული

ლიანდაგი იგება,  
განძელების ბნკარებად  
და რელსების რიგებად.  
თავზე თავმიდებული  
რელსები რომ გაგრძელდეს,  
ომბოხები ნიკაპით  
რელსს აკრავენ განძელებს.  
გრძელი კიბე ჰგონიათ  
ლიანდაგი პატარებს,  
გია იმ შვალ-განძელებს  
საფეხურებს ადარებს.  
კობა ამბობს: — ამ კიბის

ნიშნებიც აქვს ამ ჩვენს  
ლექსს —  
შუქ-ნიშანი ნითელი  
მატარებელს აჩერებს,  
მაშინ წავა, შუქფარი  
მწვანე შუქს რომ აჩვენებს.  
— ეგ რა არის, ბიჭებო? —  
ზურა ბიჭი ხითხითებს:  
— დევებს ჰგვანან ბურჯები,  
მხრით იჭერენ დიდ ხიდებს.



სახელური რელსია.  
ლექსო ამბობს: — რკინიგზა  
გრძელზე გრძელი ლექსია,  
თურმე გზა-გზა სსსვენი

თურამ დიდ საამაჟიაც  
არის საამა საბაჟიჟი

ერთ ვაგონში თათსი  
ავტოს ტვირთი ეტევა,  
ამიტომაც არის, რომ

აქ რკინიგზა შენდება,  
სწორი გზით რომ გვატაროს  
მთებზე არის შეტევა.

ჰოდა, ჩვენც ვეხმარებით  
გზის მშენებელ კარგ ძიებს,  
ძმაცაცებს გვეძახიან  
ბაბლებს ასე პაწიბებს.

პაპამ თქვა: — დიდ საქმეშიც  
არის საქმე საბავშვო,  
ვინც იმ საქმეს ასრულებს,  
შრომობს, განა თამაშობს?!  
მართლაც დიდი ხალისით  
ჩვენ ვასრულებთ ჩვენს  
საქმეს.

ოსტატების მოსაწონს,  
უფროსების შესაქებას:  
ცივ წყალს და ხილს არ

ვაკლებთ,  
კონცერტებსაც ვატარებთ,  
შრომა უმსუბუქდებათ,  
რომ გვისმენენ პატარებს.  
უქმად ერთი დღისაც კი  
არ გახლავართ გამშვები,

რად უნდოდათ მავთული?  
ლარიანი მავთული?

— ელმავალი რომ იყოს  
მუდამ დენტან ჩართული.

### ამ რკინიგზის მშენებელ სადგურებში შენდება

ეს გზა რომ დამთავრდება,  
გავგიშვებენ საშვებით  
და ვიმგზავრებთ პირველი  
მატარებლით ბავშვებიც  
ივლის მატარებელი  
ველით — მართლაც

სადგურს შეცვლით,  
ხან დავდგებით, ხან წავალთ  
შუქის განკარგულებით.  
სადგურს შეცვლის  
სადგური...

ბევრი ჩვენი ტოლი სხვადასხვა  
დაგადუგი ბორბლების  
აყვება ჩვენს დოლის მძაპრს  
ხეობებზე დაოთხილ  
ხიდებს გადავივლიალებთ,  
შევაღთ „თავფარავანში“,  
რომ გავივლით

„თრიალეთს“ ...  
ერთმანეთზე გადაბმულ  
ბორბლიანი სახლებით,  
ახალქალაქს ახალი  
რკინიგზით ვეახლებით.

1676/1



### მოსუცავალ რკინიგზა შინ აწავა რკინიგზა

ჩემს ბაბუას ვწვევით,  
ცხრა სადგურს რომ  
გავივლით,

ელმავალი მის სოფელს  
მიაბლაგლებს ხარივით.  
ხარივით კი არა და  
მართლაც რკინის ხარია;  
თურმე ჩემი პაპილოც  
გველის დიდი ხანია.  
იცით, ჩემი ბაბუა  
რკინიგზული კაცია,  
როცა მოხუცებულა,  
საქმეს მაშინ გაცლია,  
სოფელს დაბრუნებია,  
ყანა ოფტით მოურწყავს,  
მაგრამ მისი რკინიგზა  
შინ ეწვევა მოხუცაკაცს.

მშენებლების გარშემო  
დავფუსფუსებთ ბავშვები.  
მაშინ, როცა საველე  
ტელეფონი არ ჰქონდათ,  
უბნებს შორის საჩქარო  
წერილები დაგვეკონდა.  
დი-ი-დ კოჭაზე ვარდევით  
გვერდებლარა მავთული,  
კბილით იჭერს იმ მავთულს  
ანდა ცად აღმართული.

გზა იმ ველზე გადადის,  
სადაც გადაუხდია  
ქართულს ომი მარაბდის.  
სადაც ცხრა შმა დაეცა,  
იქ ძეგლია დადგმული,  
მის წინ წუთით დასადგომს  
ჰქვია „ცხრა ძმა“ სადგური.  
წინ შეგვხვდება „წინწყარო“,  
„თეთრ წყაროშიც“

ვისვინებთ,  
მერე „ნადარბაზევი“  
გულს გავგვისხნის  
მიმსვლელებს.  
გზა-გზა შეგვიერთდება

საქ. სსრ  
ბიბლიოთეკა

ქუდი რკინიგზელისა  
 პაპას ისევ ახურავს,  
 თურმე უნდა ლიანდაგს  
 კვლავ დაუდგეს მსახურად.  
 ზებრისფერი წინმკლავით  
 გადასასვლელს ჩარაზავს,  
 როცა მატარებელი  
 მოადგება შარავზას,  
 ქარქაშიდან დახვეულ  
 ალამს იძრობს მათეურს,  
 მიუნათებს ელმავალს,  
 როგორც სანთელს  
 ანთებულს.

ო, რა ჩუქურთმებია  
 ქვებში ჩაქარგულები,  
 იქით ტყეთა ტყეერია,  
 აქეთ — სავარგულები...  
 მათ პატრონი სჭირდებათ,  
 ჩავალთ ჩაბარგულები, —  
 სოფელს დავუბრუნდებით  
 ქალაქს ვადარგულები.  
 გაცოცხლებდა რკინიგზით  
 მკვდარი ხვადაბუნები,  
 ზემოთ — ნასოფლარები,  
 ქვემოთ — ნადაბურები...  
 ერთმანეთზე მოშლილი  
 გზებით ვადაბმულები.

**ჩვენც ვიპაპებით დამაპეი  
 დიდი ლიანდაგების**

ტყუილად გვეძახჩნენ: **ჩვენც ვიპაპებით**  
 ამ ველების ბამელებს?  
 ლიანდაგის არშიას  
 შემოვავლებთ ამ ველებს.  
 ამ გზას რომ დავამთავრებთ,  
 მოვიმარჯვებთ საჭურთელს,  
 გვირავს ვაჭრით მთების  
 ქვეშ  
 გრძელს, მთებს იქით  
 საჭვრეტელს.

ისე მოვაპირკეთებთ  
 ვერსად ნახავთ იმის მსგავსს,  
 შევუერთებთ მთებს იქით  
 მთისაქეთა რკინიგზას.  
 ქმობის მატარებელი  
 გუგუნით და განგაშით,  
 ისე შევა გვირავში,  
 როგორც ხმალი ქარქაშში  
 და მთებს ჩავუგორდებით  
 იქით-აქეთ კალთაში.



კუდი მატარებლისა  
 მის ჯიხურს რომ დატოვებს,  
 გზას ზემკლავით გაუხსნის  
 ჯარად მომდგარ ავტოებს.

**რკინიგზით ვაცოცხლებ  
 მკვდარი ხვადაბუნები**

რა ციხე-ტაძრებია  
 მთებში ჩაქარგულები,

სადგურს მოესევინ  
 რკინიგზელთა სახლები  
 როგორც კრუხს წინილები,  
 რა თქმა უნდა — ახლები  
 კოხტა ეზო-კარით და  
 ბალ-ბოსტნების თანხლებით.



საქართველო

მაისში მოსკოვში გაიმართა პიონერთა მერვე საკავშირო შეკრება. დელეგატებმა გადაწყვიტეს დამკვერლური შრომითი საქმეების საკავშირო პიონერული ხუთწლედის გამოცხადება. ეს იქნება პიონერთა წვლილი ჩვენი სამშობლოს დოვლათის ზრდის და ძლიერების განმტკიცების საქმეში.

პიონერული ხუთწლედის პირველი წელიწადი მიეძღვნება ვ. ი. ლენინის ხსენების საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის 60 წლისთავს, რომელიც გაიხიდა—1982 წლის 19 მაისს აღინიშნება.

მანანა  
და  
მისი  
მეგობრები

ფოთელმა ოქტომბრელებმა მისის ვარდებით გააცილეს მოსკოვში—საკავშირო შეკრებაზე წარგზავნილი დელეგატი—პიონერი მანანა ლალიძე. მანანა მათი უფროსი მეგობარია. პირველად მაშინ ვაიციან, როცა საქალაქო შეკრებაზე მანანას საზეიმოდ გადასცეს სამკერდე ნიშანი „შილიონი — სამშობლოს“. ამ ნიშნით იმ პიონერებს აჯილდოებენ, ვინც განსაკუთრებით ბევრი მაკულატურა შეაგროვა, ვინც თვითონაც ყოჩაღი და თანატოლებსაც კარგი საქმეების წამოსაწყებად რაზმავს.

შეკრების შემდეგ მანანასთან ოქტომბრელები მივიდნენ. გაიწიერ ფურცელზე ქუჩები და

სახლები დახატეს, ყველა ეზოს ოქტომბრელთა სახელები მიუწერეს. კვირა დღით გამოცოცხლდა უბანი. ოქტომბრელები ჰეღ ქალაღს აგროვებდნენ. მაკულატურის მთელი მთა დააგროვეს სკოლის ეზოში.

მეორე კვირა დღეს კი ლითონის ნამსხვრევები მოჰქონდათ ყოველი მბრიდან—ახსოვდათ მანანას ნათქვამი:—მოდით, იმდენი ლითონი შეეგროვოთ, რომ გაადნობის შემდეგ წყალქვეშაფრთიანი ხომალდი აიგოს!

ოქტომბრელებმა სიხარულით ტაში შემოჰკრეს. მანანამ ქარბანაში წაიყვანა ისინი, გააცნო ადამიანებო, ვინც ამ შესანიშნავ ხომალდებს აშენებს. ერთმა

მთვანმა — საქართველოს კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობის დელეგატმა ბორის ყუფარაძემ ოქტომბრელებს უთხრა:

— ყოჩაღ, რომ ასეთ კარგ პიონერების შესაფერ საქმეებს აკეთებთო!

პიონერთა მერვე საკავშირო შეკრებამ სტარტი მისცა საკავშირო ძიებით ოპერაციას „პიონერული დიდება“. პირველი პიონერის ძებნაში ფოთის პირველი საშუალო სკოლის ოქტომბრელებიც ჩაებნენ. ძალიან აინტერესებთ შეიტყონ, თუ როგორ მუშაობდნენ, რას აკეთებდნენ ისინი, ვისაც ექვსი ათეული წლის წინათ პიონერული ყელსახვევი ეკეთა!




მანანა თამარ ბუთხიანი



ვუნყვე, თავი ჩარგო და გაფაციცებით დაიწყო ფურცვლა. ისე იყო გატაცებული, — თავი არ აუწევია... წინათ კი გამეჭონა ღრანჭა-ხელმრუდას ამბავი, მაგრამ ოთახში არაფერი იყო ისეთი, რომ ჯიბისკენ გავექანებინა. ასე ფურცლა კარგა ხანს ჟურნალები, მერე ეტყობა დაიღალა და მითხრა: ეზოში ჩაველო, მეშინია ნაყინის გამყიდველმა არ გამახსნოსო...

სამუშაო მაგიდას მივუჯექი, — ადრე დანყებული ზღაპრის დამთავრება მინდოდა. კალამი მოვიმარჯვე, ფურცელი გავასწორე და ამას რას ვხედავ... რამდენიმე ასო მაკლია... ჰო, ჰო! ჯერ გამივივრდა, მაგრამ როცა კარგად დავეკვირდი, მივხვდი, მართლა ცუდად მქონდა საქმე, ქართულში ხომ 33 ასოა, ჰოდა, აქედან 10 სადღაც გამქრალიყო! აქეთ ვეცი, იქით ვეცი, იქნებ მაგიდის ქვეშ ყრია, ან იატაკზე ხომ არ გაიბნა, ან ჩემმა ჩიტებმა ხომ არ გადაკენკეს-მეთქი. მაგრამ საქმეში ხარ? ათი ასო სადღაც გაქრა! არადა, თავი რომ მოიკლა.



# ქვეყნად სიყვარული სა მასლებს

არ ვიცი, თქვენც გაგონილი გაქვთ თუ არა, ღრანჭა-ხელმრუდამ რომ ცისარტყელა მოიპარა. აი პატარა სოსომ კი დამირეკა ამას წინათ და მთხოვა, თქვენ კიდევ რამე გეტყოდინებთ ღრანჭაზე და ნუ დაგეზარებთ, მიამბუთო. კაცს ალბათ იმის მოყოლა ეზარება, რაც არ მომხდარა და უნდა მოიგონოს. მე კი მოსაგონი რა მჭირს, გუდას თავი რომ მოვხსნა, ისეთ ამბებს ამოვალაგებ, ყურები ნუილს დაგიწყებთ...

ერთ მშვენიერ საღამოს დაუპატიჟებლად მეწვია ღრანჭა. რა თქმა უნდა, ტელევიზორთან დაუდგი სკამი, მაგრამ თავი გააქნია, არ მინდა, მიჩრეწინა ფერადნახატებიანი ჟურნალები დადათვალიეროო. კეთილი და პატიოსანი-მეთქი. ჩემს ოთახში ევევშვი და კარადის თავიდან უამრავი ჟურნალი გადმო-

უიმასებობდ სრულად თითქმის ვერც ერთ სიტყვას ვერ დანერ. აბა, ერთი ნუთით წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდი. აკლია „ა“, „შ“, „დ“, „რ“, „ზ“, „პ“, „ი“, „ც“, „ტ“, „გ“. რაღა ვქნა? არა, ამ დარჩენილი ასოებით რაღაც სიტყვები კი გამოვა, მაგრამ მთელი წინადადება — ნურას უკაცრავად... ტელეფონს მივჯირდი და ჩემს მეგობარს ანტონს დავურეკე.

ზემოთ ხომ ვითხარით, რომელი ასოები მაკლდა, ჰოდა, ვიფიქრე, დარჩენილით როგორმე აეუსხსნი ჩემს ამბავს და იქნებ დამეხმაროს-მეთქი. რადგან პირველივე ასო „ა“ მაკლდა, ამიტომ პირდაპირ „ნ“ ვთქვი. შემდეგ „ტ“ უნდა მეთქვა, მაგრამ არ მქონდა და ისიც გამოვტოვე. ასო „ო“ მქონდა, „ნ“-ც ვავიშორე და ერთად „ნონ“-ი გამოვიდა.

— ნონა აქ არავინ ცხოვრობსო! — გაბრაზდა ანტონი და ყურმილი დამიკიდა. ვიფიქრე, კიდევ დავურეკავ, იქნებ სხვანაირად მივახვედრო ჩემი გასაჭირი-მეთქი. ცადავწყვიტე მეთქვა: „მეგობრებს ვეღარ ცნობ-მეთქი“. მართალია, პირველსავე სიტყვაში

„გ“ მაკლდა, მაგრამ მისი შეცვლა „კ“-თი შეიძლებოდა. აკურიფე ნომერი და როგორც კი ანტონის ხმა გავიგონე, იმ წუთში დავინწყე:

— მეკობრეს...

— რა?

— მეკობრეს! — კვლავ გავიმეორე იმ იმედით, რომ ხმაზე მაინც მიცნობს-მეთქი.

— შენ ჩემო ძმაო, მოცლილი ყოფილხარ და თუ არ გინდა ტელეფონი გამოგითმონ, თავი გამანებე! — მიყვარა და ისევ დაკიდა ყურმილი...

თავსატეხიც ასეთი უნდა! ეზოში გავედდი და ღრანჭას შინ მივაკითხე, მაგრამ რად გინდა, ღრანჭა ზღვაზე წაეყვანათ.

მთელი ორი კვირა სახლიდან ვერ გამოვდიოდი, ტელეფონითაც ვერ ვლაპარაკობდი, რაც არ უნდა მეთქვა, ყველაფერი სასაცილოდ და გაუგებრად გამოდიოდა... გაგებრაზდი, ვერც ვერაფერს ვერედი, ვერც სალამქალაშს ვიძლეოდი. რაც იმ დღეებში სასაცილო სიტყვები და წინადადებები ვთქვი, ცირკის ორას მასხარას თავისუფლად ეყოფოდა.

ერთხელაც ისეთი ამბავი გავიგე, შეიძლება არც დაიჯეროთ...

თურმე ზღვიდან ჩამოსული ჩვენი ღრანჭა ავადმყოფი ამხანაგის სანახავად მისულყო. ამხანაგს დიდი სიცხე ჰქონდა და სახეზე ალმური ასდიოდა, მაგრამ ღრანჭას მაინც შეუმურდა მისი. არ იკითხავთ, რა შეუმურდაო? ჯერ ერთი ის, რომ ვასიკო საბავშვო ბაღში აღარ დადიოდა, მეორეც ის, რომ „ჩიტის რძე“ თავზე საყრელად ჰქონდა და, რაც ყველაზე მთავარია, უთვალავი სათამაშო ენყო ლოგინთან. იფიქრა, იფიქრა ღრანჭამ და გადანწყვიტა სიცხე მოეპარა. თქმა და ქმნა ერთი იყო. პერანგის ლილეები გაიხსნა, ვითომდა მცხელაო, სიცხე უბეში ჩაიტენა და მასპინძელს დაემშვიდობა.

სადარბაზოდან ფეხიც არ ჰქონდა გადმოდგმული, რომ სახეზე ალმურმა აჰკრა. ტანში გააფრუოლა და მუხლებში სისუსტე იგრძნო...

ორი კვირა ისეთი მაღალი სიცხე ჰქონდა, რომ არც მურაბიანი წყალი ვახსენებია, არც „ჩიტის რძე“, სათამაშოებისაკენ ხომ არ გაუხედია და არა. მთელი ეზოს ბავშვები ფივილ-ხივილით იკლებდნენ არემარეს, ის კი ლოგინში ინვა უგუნებოდ და ერთი სული ჰქონდა ფეხზე წამომდგარიყო. რაც იმას ერთ ადგილზე ნემსები ურტყეს, რაც იმან წამლები ყვალა ინდაურივით, რაც იმან სოდიანი წყალი იგლო პირში, რატომ ას ავადმყოფ ბავშვს არ ეყოფოდა.

დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ ღრანჭა ისევ გამოჩნდა ეზოში... სიცხე ხომ სადღაც შორს მოისროლა, მეც დამიბრუნა მოპარული ასოები. ის დღე იყო და ის დღე, აღარავისთვის აღარაფერი მოუპარავს... ისე, თუ კიდევ გაებდა, ხომ იცით, ქვეყანაზე არაფერი არ იმალება. აგერ ხართ თქვენ, აგერ ვარ მეც, კიდევ კარგი წერა არ დამვიწყებია, დაჯგუდები და ერთ წუთში ყველას გავაგებინებ და ღრანჭას წამდვილ სახელსაც მთელ ქვეყანას მოვფენ...

შერაზ ბარამი



# მე ისეთი ბავშვი მინდა...

მზარხან ლეხანიძე

— ზაზა! ლუღზე გამეგზავნე!  
— ლაშა! ზაზას დაემგზავრე!  
— ლელა! წყალი მომიტანე!  
— გელა! მსხალი მომიტალე!..  
თქვენ გგონიათ, მართლა მსხალი,  
ანუ მართლა ვაშლი მინდა?!  
შავი რკინა კი არა და  
წითელი ოქროც რაში მინდა?!  
მშობლის გულს რომ გაახარებს,  
მე ისეთი ბავშვი მინდა!

\* \* \*

ზღვად გადიქცეს ჯეჯილეები,  
ვერაფერი აჩერებდეს;  
დედაშენი, მამაშენი  
საქართველოს აშენებდეს...  
წკრიალებდეს ჩემი ლექსი  
და სკოლის ზარს გახსენებდეს...  
ვეღს ყაყაჩო სიწითლითა,  
ყმაწვილს —

სწავლა გამშვენებდეს!





1861

# დღეუპიწყაჷ

პაშა ფშაველა

1915

ქართველ ხალხს ჰყავდა ვეჟა ფშაველა, დიდი პოეტი და ძალიან კარგი კაცი.

ის ხედავდა, რომ ამ ქვეყანაზე ზოგი სულდგმოები — აღამიანი, ცხოველი თუ ფრინველი ბედნიერი და გალაღებული იყო, ზოგი — უბედური, დაჩაგრული, დაბეჩავეებული.

ამიტომ უნდოდა „მადლი სუფივდეს“ ქვეყანაზე, ვხედავდით შეწვენას, შველას, შებრალებას“.

თითქმის 100 წელიწადი გაივდა, რაც ქართველმა ბავშვებმა პირველად წაიკითხეს „შელის ნუკრის ნაამბობი“ — და შეიყვარეს პაწანა, ობოლი ნუკრი, ჯერ რქები და კბილები რომ არ ამოსვლია, ჩლიქებიც არ გამარგებია, და უკვე მარტოა, დაობლებული, გზადაკარგული...

„წელან ველის პირად გავედი დაღონებული... აქეთ-იქით თვალს ვაელებდი: უცებ ჩემს თავზედ ჭექა გაისმა. ავიხედე მალა: მხრებშეკუმშული, ნისკარტდაღებული, უზარმაზარი ლეგა ფრინველი მოდიოდა პირდაპირ ჩემსკენ. მე, შეშინებული, ტყეში გადავხტი...“

...განაცვალე, ტყეო! შენ ბევრს მშველი, თორემ აქამდის ჩემის ქათობის ბენვიც არ იქნებოდა!“

წაიკითხავთ ამას და ტყეც შეგიყვარდებით, როგორც უწყინარ ნადირ-ფრინველთა თავშესაფარი... ანდა აი ეს ლექსი:

ქორმა წინლია წაილო,  
იმასხა „წაევ-წაევას!“  
წინილის თეთრი ბუმბული  
ველად გაჰქონდა წიაევას“.

განა არ შეგებრალებათ ეს პაწანა, უმწეო არსება, განა იმისი ერთი ბენო სისხლი სისხლის მდინარედ არ მოგეჩვენებთ?



„ღვარი წავიდა სისხლისა, წალეკა მთა და ბარია, არავცეს გზა დაათვინა და გადათელა მტკვარია“...

ანდა „მერცხლის სიმღერას“ რომ წაიკითხავთ, განა არ მოგიანდებთ, მსუნავი კატები-მოაპოროთ მერცხლების ბუდეც?

დაეჩქეე წვრილი  
ბარტყები,  
დამეზრდებიან მალეო,  
იფრენენ, იჭიჭიკებენ  
კალად დღესა თუ ხვალეო.  
ლაღავ, შე ამოსავდებო,  
ცოტა ხანს დამაცალეო,  
რა გედა, რას მეპარები,  
დაცა ვარ, შემეიბრალო?

აბა, წარმოიდგინეთ, რა საცოდაობაა დაობლებული ბარტყები, ბუდიდან რომ

გამოიკვივდებიან და გულსაკლავად წივიან.

„დაბლა მინაზე  
ბლორტავენ,  
გინგლიანები, წვრილები,  
პირებს აღებენ  
საჭმლისად,  
წიბლია-ჩიტის შვილები!“

ან იფიქრეთ, რა მძიმეა ობლობა ბავშვებისათვის! აი, მოთხრობა-ზღაპარში „როგორ განაღდნენ ბუები ქვეყანაზე“ ავმა დედინაცვალმა ღამით ტყეში საქონლის საძებნად გარეკა ხუთი-ექვსი წლის ბავშვები მზია და ვეფხვი! ბავშვებმა ინატრეს, ნეტავი ფრინველებად ვიქცეთ, ხეზე შევფაროთ თავი, რომ ამ ღამეში მხეცებმა ვერაფერი დაგვაკლონო, და მართლაც ბუებად იქცენ...  
ახლა ვნახოთ ვაჟას მოთხრობა „სათაგურში“ რა ამბავი ხდებდა... სათაგვეთის სამეფოში სიმარდით, გულადობითა და გამბედაობით განთქმული სახელოვანი ვაჟკაცი ფიცხელა სათაგურში მოემწყვდა. თავგები მჭობენ, როგორ უშველონ მოძმეს, როგორ დაიხსნან ის საპყრობილედან, და გადაწყვეტენ...

„თავგები ერთად მიეხვივნენ სათაგურს. ცელქამ ჩასჭიდა კბილი, კუდზე ცველქას ფხორა მიოქიდა, ფხორას კუდა, კუდას — ცქმუნა, იმას — სხვა, გუთნეულ ხარკამეჩივით გაიჭიმა თავგების გუნდი.“

— აბა, გასწით, ბიჭებო, განწით! — აქეზებდა შიგინდნი ფიცხელა. — დაიძრა, მივიდვართ, შინ მივიდვართ!“

მაგრამ მაინც მოუსწრეს



ადამიანებმა... ოღონდ როცა დაინახეს, სათავურს რომ მთელი აკიდო თავებიცა თან გამოჰყვავა, თანაგრძნობით და პატივისცემით აივსენ თავების მეგობრობისადმი და გაათავისუფლეს ფიცებელა...

განა სხვისადმი თანაგრძნობის გარდა ეს მოთხრობა ამხანაგობას, ერთიმეორის გატანასაც არ გასწავლით?

კიდევ ბევრ სხვა რამეს გასწავლით ვაჟა ფშველა. გასწავლით, დააფასოთ გლეხის მარჯვენის ნაღვანი და გლეხის ოფლით მორწყული ჯეჯილი; გიყვარდეთ შრომა — მუდმივი კონინი და ჩუჩუნე; დაინახოთ და იგრძნოთ ბუნება, მისი სილამაზე და მისი კანონები.

აბა წარმოიდგინეთ, რა საცოდავია ბნელ ხევში დიდი ქადრების ჩრდილში მოსული ია! მზე სხივებს ვერ აწვედნს მას და ია ქცნება, კვდება...

აბა, წარმოიდგინეთ რა მშვენიერებაა:

**დალამდა, წვრილნი  
ვარსკვლავნი  
აყვავდნენ, დასხდნენ  
ცაზედა...**

აბა, დაინახეთ და იგრძნოთ თქვენი „სამშობლო მწვანია-ნაო!“

**გულს ჩაიყენეთ სისხლადა  
ჩენი ქვეყანა მზიანი!**

აბა ისწავლეთ, სამშობლოსათვის ჩალასავით დასწვავთ სიცოცხლე, ისწავლეთ თქვენის სიყვარული, სხვისის პატივისცემა —

**„სამშობლოს არვის  
ნავართმევთ  
ჩენს ნურვინ  
შეგვეცილება!“**

ისწავლეთ, იყოთ ისეთნი, რომ თქვენით ამაცობდეს ქვეყანა, თქვენ ამაცობდეთ თქვენი ქვეყნით, და შეგემლოთ პირნათლად უთხრათ მას:

**„ჩემი კაცობის გვირგვინო,  
ჩემო სამშობლო მხარეო!“**

ჩენს სოფელში ვენახე-  
ბია, ლელვის და ლიმონის  
ხეები; ბაღებისა და ზვრე-  
ბის იქით ზღვა. ზღვა ხან  
ლურჯია, ხან მწვანე, ხო-  
ლო წვიმისა და ქარის  
დროს — ნაცრისფერი. აი,  
ასეთია ზღვა.

ცხელი სილა ფეხისგუ-  
ლებს მწვავს, მაგრამ არა-  
ფერია! შარშანაც ასე იყო,  
პირველად საშინლად  
მწვავდა ფეხებს, მერე კი  
შევეჩვიე და იმდენს დაე-  
ლოდი, რამდენიც მიწდო-  
და. კიდევ, სოფელში ბუ-  
ლაა. გომურშია გამომ-  
წყვედილი, ნიქარა ჰქვია.  
ერთხელ დავინახე ჭურჭრუ-  
ტანიდან. უშველებელია,  
ვეება რქები აქვს. ამბობენ,  
ძალიან ავიაო. ბებიაჩემი  
გვიყვებოდა: ორი ღობე  
მიანგრ-მოანგრიდა, ორ  
კაცს ურქინა, დიდი ცო-  
ლო დაატრიალაო. ერთი  
სიტყვით, საშინელი ბუ-  
ლაა. ხანდახან გაბმით  
ზმუის. მაშინ მეშინია და  
გომურს გავეცლები ხოლ-  
მე, ჯოხს მოვიმარჯვებ და  
ველოდები. მზად ვარ ვაე-  
კაცურად დავუხვედ. ბები-  
ამ გაგვაფრთხილა:

— იცოდეთ, ეს ბულა სა-  
შიშია!  
— როგორ თუ საშიში?  
— შეშინდა დედა.  
— გააფრთხილე ბავშვე-  
ბი! ახლოს არ მიეკარონ,  
გომურის კარი არ გააღონ,  
თორემ...

დედა გაფითრდა და გად-  
მოგვხედა:  
— ხომ გესმით?!

მე კი ვიცი, არ გავალბე,  
მაგრამ ჩემმა უმცროსმა  
ძმამ შეიძლება გააღოს.  
მაგისტვის სულ ერთია  
ყველაფერი. მაგას ბულა  
შეაშინებს! უცნაური ბი-  
ჭია! ვერ დავიჯერებ, რომ  
მეც ასეთი ვიყავი პატარა-  
ობისას. თუმცა მეუბნები-  
ან, შენც ასეთი იყავიო.

## სოფელი

ახლა ვენახში ვდგავარ.  
შორს მატარებლის თეთრ  
კვამლს ვხედავ. ბორბლე-  
ბის რახარუხი მესმის. ცა-  
ში ჩიტები ჭივივივებენ. მზე  
კი კოცონით აცხუნებს.  
თავი გახურებული მაქვს.  
ეჰ, ახლა ზღვაში ჩამიყვა-  
ნა!

მაგრამ დედა მარტოკას  
არსად მაძიებს, როგორ  
აგერ, ლეღვი, მოლად



გარუჯული ბიჭი შემომ-  
ჯდარა. უნდა გაიცნოს  
კაცმა. რადაც არ უნდა  
მიჯღებ, აუცილებლად მა-  
გასავით გავაშავებო.

ვენახში ვდგავარ. რა  
კარგია სოფელში ყოფნა!  
მალე ჩვენი ყურძენი დამ-  
ნიფდება. რამდენიც მიწ-  
და იმდენსა ვჭამ! თუმცა  
მამა ყოველ წელიწადს მი-  
მეორებს: ჯერ მოიცადე,  
ცოტა შეთვალდეს მაინც,  
და მერე გაჩვენებ, როგორ  
უნდა ჭჭმო ყურძენიო!..

ახლა მამა ქალაქშია. ქა-  
ლაქში სამუშაო აქვს.  
დღისით საჩვენოდ არა  
სცლია. ამ საღამოს იქ-  
ნებ ჩამოვიდეს. შორიდან  
დავინახავ მატარებელს,  
დავინახავ და კისრისტი-  
ხით გავიქცევი ჭიშკრისა-  
კენ — პირველი მე უნდა  
შევხვედ მამას.

...მალე ყურძენი დამ-  
ნიფდება, ლეღვიც, კომ-  
შიც... ბრონეულიც შემო-  
ვა... ისე მომწონს აქაურო-  
ბა, რომ ლექსიც კი გამო-  
ვთქვი:

მზე ანათებს, ზღვაც  
დანყნარდა,  
მსხალი, ლეღვი  
შემოვიდა რა ხანია,  
მტენებს მალე  
მოსცილდება ფოთლის  
ფარდა,  
რა კარგია! მიხარია!  
მიხარია!

...მაგრამ ჯერ ზაფხუ-  
ლია, შემოდგომაზე კი...  
ეჰ, შემოდგომაზე ქალაქში  
ვიქნები.



# ფეხბურთის

## სასამღებო

მალა ვოლგისპირა



მაკაშ თავის წუწუკი ფისო  
გაბუტულმა წასვა ძირს.  
უთხრა, — შენთან მეგობრობა  
არ მჭირდება, არცა ღირსო...  
აბა, როგორ მოთხუწუნებარ,  
სულ არ იბან საპნით პირსო,  
და რასაც კი მოიხველებ,  
უკითხავად ჩაპყლო ცხვირსო,  
აიწყწო უღვია შებს და  
ჩამოჯდები სკამის ძირსო,  
ღამაზ ფისოს გეძახიან,  
არ გრცხვენია, უსინდისო!



## მუსიკოსი

გივი შიშინაძე

სიფრიფანა ქალადრი  
მოვაზვე სავარცხელს,  
ჩაგბერე და ისმინეთ,  
რა სიმღერა ავაწყე:  
— ღუ-ღუუ! ღუღუუ! — ტებილი ხმა  
ირგვრივ ნაზად მოფიფინე,  
ხვად კონცერტზე მოგიწვევთ  
მთელი ბალის თოჯინებს.



## ქ მ რ ა ლ

მიკა ჭიჭიაშვილი

ნეტავ რად იცი, ძეგრაო,  
ასეთი ხარბი მზერაო,  
შენს შემხედვარე ჩიტუნებს  
აუტყდათ გულის ძეგრაო,  
ვერ დავამშვიდეთ ქათმებიც,  
დაკრიახოზენ ჯერაო,  
თაუი ანებე წიწილეებს,  
არ გახლენ ჩემი წერაო.

## შ ღ თ მ ბ ი

ტყლაშატყლოშით აკრავს ბებო  
ცხელ თონეში შოთებს;  
წებნიკი კიდე თვას უყვარს,  
რბილი ყუა—კოტეს.  
დაბრაწული დიდი პური—  
სუყველას რომ ჯობდეს.  
თქვით, ვის უნდა გამოუცხოს?  
— პაწაწინა ცოტნეს.



## უმეზურთელაბი

მეგანი ბაკთაია

— ერთი! ორი! სამი! ხუთი!  
გავიმაგროთ უნდა კუნთი,  
რომ ბაღში გავაგვიოთ  
ერთის ნაცვლად ხუთი ბურთი.  
მეკარენ დგაზ ავთანდრი,  
თველო—მსაჯად, გია—მცველად.  
ცენტრში ფისო დავაყენეთ,  
გარემარბად—მურიკვად.

# ჭიანჭველის აშბაპი

კობა ავალიაშვილი

ჭიანჭველა მიდიოდა,  
გზაზე ნახა მკედარი ბუზი,  
რომ შეხვდა, გაუკვირდა,  
მთა ეგონა იალბუზი.  
დაფაცურდა... წაღება სურს,  
მაგრამ ვერ სძრავს ადგილიდან.  
უტრიალებს გარეშემო  
ხან აქედან, ხან იქიდან,  
ჭიანჭველას მიესალმა  
მისი მოძმე ჭიანჭველა:  
— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!  
ახლა მინდა შენი შეველა...—  
ლაქმდგინენ, ხვითქი ვასდით,  
ვერა სძრავენ, ვერა, ვერა.  
— რა ვქნათ, იცი?—რაღაც უთხრა  
და გაგზავნა ჭიანჭველა.  
კიდევ ხუთი მიემატათ.  
წაათრიეს დიდი ბუზი,  
თქვი, რამდენმა ჭიანჭველამ  
ისადილა „იალბუზით?!“



## ნანსძინებია

ვანო ზვინაძე

— ბავშვს რომ ბურთი უყვარდეს,  
რაა ცუდი ამაში.  
მთავარი კი სწავლაა,  
სწავლის მერე—თამაში.  
აგერ, ეზო აიკლეს  
ყრიამულით ნორჩებმა.  
კარგი ბიჭი თამაშსაც  
თავის დროზე მორჩება...  
ასე ვსაუბრება  
გიგას მისი ბებია.  
ბიჭს კი ამასობაში  
ტბილად ჩასძინება.



მხატვარი ნანა სულემინაშვილი



# თევდორე

ყველა ერს ჰყავს თავისი საამაყო შვილები, რომელთა სახელებსაც კრძალვით და თავყვანისცემით წარმოთქვამს ხალხი.

საქართველოშიც იყვნენ ასეთი გმირები.

«დილისე ახალი განყოფილება «გმირი, მამულის მაღდინო» დროდადრო გაიმშობთ მათზე.

ქართველი გლეხის თევდორე მღვდლის სახელი 1609 წლის ერთ ზაფხულის დღეს მოედო მთელ საქართველოს. მისმა თავგანწირვამ ტყვეობა ააცილნა ქართლის მეფე ლუარსაბ II-ს, აოხრებისსაგან იხსნა ქართლი.

თევდორეს თავდადების შესახებ გაიმშობთ მწერალ გიორგი პაპუაშვილის მოთხრობა.

ის იყო შინდაბრუნებულმა თევდორემ ანაფორა გაიხადა, რომ მეზობელი დედაკაცის განწირული ძახილი მოესმა. ეზოდან გასვლა ვერ მოასწრო თევდორემ; ქოშინით მოვარდა დედაკაცი:

— თურქები შემოვიდნენ და ჩემს ქმარსა კლავენ; ცხირეთს ნაკვიძელ და მეფის სადგომი გვაჩვენო.

თურქებო... მეფის სადგომიო... ხედავ? მეფის შეპყრობა მოუწოდებიათ იმ ძალთაპირებს, მერე კი უპატრონოდ დარჩენილ საქართველოს მოსდგებიან და...

— არჩილ! — შესძახა თევდორემ ეზოში შემოსულ ბიჭს და უბელო ცხენზე მიუთითა: — ახლავე ქსილისს გაფრინდი და გიო ძიას უთხარი, თურქნი შემოვიდნენ-თქო. მოკლე გზებით ცხირეთს გაეარდეს და სააკაძეს აცნობოს, სხელტის ჭალისაკენ წამოვიდეს!

როცა თევდორე მეზობლის ეზოში გადავიდა, მეზობელი ძლივსლა ხროტიანებდა:

— არ ვიცი... არ ვიცი...

— რატომ კლავთ მაგ კაცს? მე ნავიძღვევით ცხირეთისაკენ. — უთხრა მღვდელმა აწონილ ნითელწვერა თურქს, რომელსაც ჩაცმულობაზე ეტყობოდა, სარდალი უნდა ყოფილიყო.

— აბა, ახლავე, სულმალლო, თორემ სულს ამოგხდი! — წვერით დასწია თევდორე მღვდელი აწონილმა თურქმა.

„სხელტის ჭალაშიო...“ ძალიანაც კარგად დააბარა არჩილს გიო ძიასთან. აბა, თუ ივაჟაცებენ და დროზე აცნობებენ მეფეს...

— ცხენებზე! — ბრძანა ნითელწვერა თურქმა და პირველი თვითონ ამხედრდა.

ვიდაცამ ბუკს ჩაჰპებრა და სოფლის საძარცვავად გასული თურქნი და ყირიმელი თათრები ანუ „მგლისტყაოსნები“ უმალ შეგროვდნენ. ვინ ქათმებს მოაფროხილებდა, ვის პატკანი შეეგდო მხარზე და ვინ დაკლულ ხბოს მოათრევდა.

# გვიღწი

## მამულის



# გვიღწი

ნითელწვერას ერთმა მსლბელმა ბეჭებში შუბის ტარი ატაკა თევდორე მღვდელს და ნინ გაიგდო.

სადღაც ხანძარი გაჩნდა. სოფელი ინვოდა.

— რას სჩადი, მამაო, მიუძღვები?! ლუბავ საქართველოს?! — ხელებზე წამოებჯინა უმოწყალოდ ნაცემი მეზობელი, მაგრამ მეტი ვეღარ შესძლო, გული გაუსკდა.

მოდის თევდორე და მიჰყვება ლაშქარი, აი, ვახსაყარიც.

მარჯვნივ თუ წავა, ცხირეთს მიადგება, მარცხნივ თუ ნაუძღვება...

„იჩქარე, არჩილ!.. იჩქარე, გიო!.. იჩქარეთ, ბიჭებო!“

ერთხანს ფეხი აითრია თევდორე მღვდელმა და მერე გაბედულად დაუხვია მარცხნივ.

— ნულარ გვაბრკოლებ, წყეულო გურჯო! — იატაკიანი ატაკა წვერიანმა თურქმა,

— უმოკლესი გზით თუ არ წავიყვან, ჩამოგატყავებ!

თევდორე ღედედუდებზე გადაუხვია... „იჩქარე არჩილ!.. იჩქარე, გიო!“

— საით მიდიხარ?! — ლახტი დაარტყა ვიღაცამ.

თევდორემ ჩაიჩოქა, მაგრამ არ ისურვა მტერს დაცემული დაენახა და ქალამნის თასმას დაუწყყო ჩინიერი.

— დროზე წამოდიე, თორემ სულს გაგაფრთხობინებ! — დამუქრა ნითელწვერა.

— სული რომ გამაფრთხობინო, ვინლა წაგმძღვებათ! ეს ტყვენი კი ტურა-მგლებითა და კატა-ფოცხვერით არის სავსე, თქვენც აქ დარჩებით, თქვენი ცხენებიც. — არხინად უპასუხა თევდორე მღვდელმა, ქსილისის მთა მარჯვნივ დაავადო და სოფელ სანადრისისკენ გაიყოლია თურქთა ლაშქარი; და როცა უკაცურ ადგილებში ნაწილდევნი, დაღლილ-დაქანცულები თემის ხეობაზე გაიყვანა, თურქთა მეთაური მიხვდა, რომ მთები უკან დარჩა.

— ამ ქალას რა შქვია? — იკითხა შემფოთებით.

— სხელტის ქალაა. აქ გესტუმრებიან მეფეც და მისი სარდლებიც.

თურქის მდივანმა სამგზავრო რუკა ამოიღო და გაშალა.

— მოგვატყუა, მეუფეო, ცხირეთი უკან დარჩა.

„ღმერთო, შეძლება მიეცი ლუარსაბ მეფესა და მის ერთგულ სარდლებს გიორგი სააკაძეს და ზაზა ციციშვილს! დროზე ამოქმედდე და გადარჩენინე ქვეყანა! — გულში ლოცულობდა თევდორე მღვდელი და თან საკუთარი ხმა ჩაესმოდა თითქმის: „იჩქარე, არჩილ!.. იჩქარე, გიო!“

ანაზღად უკნიდან ქართული ყიფინა შემოესმა და მიხვდა, რომ თურქთა ლაშქარს ფეხდაფეხ ასდევნებოდნენ ქართველთა ჯარები, რომლებიც ზაქარიას და იარაღის სარდლობით საზღვრებს დარაჯობდნენ.

იმის გაგებაც მოახსრო, გიორგი სააკაძის ჯარი რომ გადმოფინა სხლეტის ქალაზე. ჩანს, უმარჯვით არჩილს და გიოს. თურქნი უკვე ალყაში მოექცნენ და ალაპიცი ვეღარას უშველის... — აჰჰ, შე ქვებუდანო! — კისერზე ხმალი უშხუვლა თევდორე მღვდელს ნითელწვერა თურქმა. მოჭრილი თავი ფერდობზე დაგორდა... სიამოვნების ღიმილი შეეყინა ბაგებზე.

მეორე დღეს ცუცუბანში აასვენეს თევდორეს თავი და ეკლესიაში დაკრძალეს. ტანი ვერ იპოვნეს, რაკილა მრავალი უთავო ტანი იყო ერთურთში ახელილი.

ღამით კი ტყიდან უცნაურმა ჩიტმა დაინყო ძახილი:

— თევდორე!.. თევდორე!.. იპოვნე?! დიახ, იპოვნა, იპოვნა თევდორემ უმოკლესი გზა უკვდავებისაკენ და ხალხის გულებისაკენ..

### გიორგი სააკაძის მიხედვით



მხატვარი თამაზ ხუციშვილი



თემა  
საბავშვო

გოგამ ღვდის და მამას ზომარკში წაყვანს მის-  
თხედს. სანამ ზომარკში  
მივიდოდნენ, ლომობალი  
მოინდომა დადგურეს.

ზომარკს შესასვლელ-  
თან ბიჭები წაყენს ქა-  
მდენ.

— ნაყინი მინდა! — გა-  
ნაცხადე გოგამ.

— ორი ჭიქა დალე, აბ-  
და ნაყინიც რომ დაგე-  
დო, ღელე გატკბუნება, —  
ფიქსილია გოგამ.

— ორი ნაყინი მინდაა!  
— გადმოყარა ცრუმღები  
გოგამ.

— ორი ანა, ანა! — გა-  
მოყავრა მამამ.

— აბა ნაყინი მინდაა!

— ახლევქნა გოგო.

მამამ უფიქრად ნაყინი  
დაეცა პატარა ბიჭს პურით  
წაიშოღო თან. გოგამაც  
მოიღწეა ბურთი პატარა  
ბიჭმა თავისი ბურთი სას-  
ხურისად ვერ გაიშტა, გოგა  
სე ტორიდა.

— რა ამბავში ხარ, რას  
ჰკავს შენი საქციელი  
გატყდა, თორემ ღონს  
უბრტყლი! — დაიქურჩა და



ბავშვი თემა

ნაფხულს ერთ მშვენი-  
ერ ღამეს მგფგროება ვი-  
დაცის ოცნება დაირღია.

— ვინ უფაა იყოს! —  
გადაღმამარაგა შიფარდ-  
იქვე მგფი! კაშკაშა ვარ-  
სკვდავს.

— ვიდაც ტარისო, —  
თქვა ვარსკვლავისად.

— რომელი ხარ, რა გა-  
ტარისო? — ჩამოიძახეს  
მარე არხიხად. პასუხად  
წკრილია ხმა მუშოკისად.

— მე პატარა მწერი ვარ.

წვიმი ღვდა და მოსწრება  
თქვენ გატყდავთ თქვენით  
ფარობს და უსუღმდებულ-  
ობს, მოვადებულად ველი  
დაღმამას, რომ თქვენი  
ხილვით დაგტყა, როგორ

და.

— ღობი მინდაა! — აბ-  
უწუნდავს ბიჭი.

— მუხა იყოს, პატრონო,  
მომიყავ. ანერ გაღამა  
ზის, გამოიყვანე! — უთხ-  
რა მამამ და გალიიყენ

და.

— ღობი მინდაა! — აბ-  
უწუნდავს ბიჭი.

— მუხა იყოს, პატრონო,  
მომიყავ. ანერ გაღამა  
ზის, გამოიყვანე! — უთხ-  
რა მამამ და გალიიყენ

და.

— ღობი მინდაა! — აბ-  
უწუნდავს ბიჭი.

— მუხა იყოს, პატრონო,  
მომიყავ. ანერ გაღამა  
ზის, გამოიყვანე! — უთხ-  
რა მამამ და გალიიყენ

და.

— ღობი მინდაა! — აბ-  
უწუნდავს ბიჭი.

— მუხა იყოს, პატრონო,  
მომიყავ. ანერ გაღამა  
ზის, გამოიყვანე! — უთხ-  
რა მამამ და გალიიყენ

და.

# სიხიჩათაღუს მკავდევის დღე

მინდა, მეც შემეძლოს წა-  
თხეს, როგორ თქვენი მხედ-  
დავს, როგორ მოხდა და  
ვინწევდა მგზავრებს ღვად  
ღამეში გზა გაუღებოთ და  
მინ მშვიდობით მივიცე-  
დით.

— მგფივამ ვერცხლისდგურ  
სიხიჩათაღუს ღვად, ჩამოხვე-  
დესი მთარისა და  
კვლავ ვარსკვლავს შევხე-  
ბნა, მოდა ვარსკვლავითა  
ვარსკვლავთ დაფორტად,  
მერე წამში ვახსენ და ღი-  
მობლი პატარა ნატყბი ჩა-  
მოიყავა, ის ნატყბი პატარა  
წკრიტელა მოქციონერ არ-  
სტყბა ჩამოხვედო და ჩამო-

მისხვედა.  
გოგა გალიიყენ გვი-  
მართა ღობი გაოცებულ  
მოიარდა, მერე უფებ თვი  
ასნია და ისე დაიღრია-  
და, რომ დათხადებურ-  
ღებმა ვერცხენ მოიფ-



სმხია: — დაწმარდი პა-  
ტარსაც, მაც ნატყბზე დას-  
კეპდა და ნატყბა ავირ-  
რულდებოთ. როცა პატარა  
მწერმა თავისი მუვი და  
ჩამოი სხეული განათებუ-  
ლი ახილა, ფრთა ფრთას  
შემოკრა, შეუფხებულ მუ-  
ღმისდგურ სიხის მუკრია  
და ღობიხად ქვეულ ცე-  
ურ მწამობებს მადლობა  
უბრუნა, მერე სულ დაბლა  
დაეშინა, ვეფიქრებს ჩამო-  
არა და მძინარე თვადებში  
აქოდა.

— მომიღოცი! მომი-  
ღოცი გოგოგო, ღვდას  
ჩემი დაბადების დღეა აბი-

რეს მუღი.

— გოგა მუშინდა და გამო-  
იქვა.

— რა ჰქენი? რატომ არ  
გამოიფხენე გალიიყდამ ის  
შინი ღობი? — კეთიხა და-  
და.



— რიდან ნაფხულს თბო-  
ლა და ნაოღო ღამეებს ჩემი  
სუხვა ნაოღოც მოემატე-  
რა ვიშ, რა სანახაობა იქნე-  
ბა, როცა თქვენი მართო-  
ბელი სურნელი გამარუ-  
ბელი გოგო-ბიჭებს მე და-  
მეფიქრებოთ დასატყარად,  
ო, როგორ გავახალისებ  
მათ.

— ასე გათხახოდა ციცი-  
თლა და ტოტადან ტოტ-  
ზე, ვეფიქრებდა ვეფიქრე  
დაქრდა.

— იგი ღვდასაც ისე დაქრის,  
ისე შეატყრის და შესცი-  
ყრებს მთავრის და ვარ-  
სკვლავებს, ზესა და ფი-  
ლებს, ვეფიქრე და პატარა  
რებს, როგორც მამან, თავის  
დაბადების დღეს.

— გამოვიყვანა, — აღ-  
უბლულდა გოგო.

— თუ მამობლებს არ და-  
უფხურებ, ხვალა ასე გვი-  
ფიქრებდა. — ნიწინი მოუ-  
გე მამამ.

მეფიქრე ნატყბი მწამობა



## პოპონახე

განა  
განა

მასობობლია,  
კალით დახატული;  
ჩემსდგურ მოიქმარის  
როგორც ნაკაღელი.  
გახახებულის პარში.

გოგო — მართოტა;  
მითვის მოსტყადლით  
კრება ტნიოტა  
იყავიოტო — ეთხვე —  
შეულობლი ჩემი.  
და ვინწევს მოვის  
ფელსხვედი ქრელი.

მასობობლია  
ია — მართოტა

მართამისთეფა,  
კობტა, მითვიოტა,  
საბი მოქტელას

ხელით დახატული,  
ჩემსდგურ მოსტყარობს  
როგორც ნაკაღელი.







აბა, თუ მიხვდებით, რითი განსხვავდება ეს ორი ნახატი ერთმანეთისაგან.

## გაგონაუბი


შოთა სტაფანაძე

აიენის თავზე მდგომური მყავს, სულ ჩემს გართობას უნდებდა, შემოდგომამზე წავა და აპრილში დამიბრუნდება.

(აჰმადინი)


თუმცა კული აქვს გრძელია, მაგრამ არ არის მელია, ხეებზე დახტის უშიშრად თხილის და კაკლის მტერია.

(ანანი)




დავმაჩრეთ მუშეეტერს კარდნალოს მოძებნაში.

## აქსნი ზანქარი



შეიძლება თუ არა ექვსი ფანქარი ისე დაიდოს, რომ ყოველი მათგანი ხუთ დანარჩენს ეხებოდეს? თუ ამას მოახერხებთ, მაშინ მაგალითი გაართულეთ— იგივე შვიდი ფანქრით სცადეთ. (ნახატებს ხელი დააფარეთ და ისე ამოხსენით).

მასუბი „დღეს“ № 6-ზე დაბეჭდულ აკსატებზე





— მეგობრებო,  
როგორც ხედავთ,  
ამ ტაძარს საუკუ-  
ნეთა მანძილზე  
ბევრი ბარბაროსი  
დასხმია თავს.



უდაბნო ნახატი მანანა შორჩილაძისა

შთავარი რედაქტორი მუხრან შაჰაზვადიანი

სარედაქციო კოლეჯია: ჟურნალ პედაგოგი, ილია ანთონავა, კუპური გიგიაშვილი, სოლომონ ღამბაშიანი, ლილია ბრეგვალი, ზურაბ ლეჟავაძე (პეგ მელიანი), მანანა კონახიძე, გელა ლოსაძე, რინე, მამაკლა მიაველიშვილი, ჯურაბ ნაღრიძე, ვიქტორი რთიშვილი (სახსტარო რედაქტორი), ვივი ძეგლაძე, ვივი ვიკლაშვილი, ვივი პირიაძე.

ტარედაქტორი ენა წარველია

მისამართი: რედაქცია, გამომცემლობა, სტამბა — თბილისი, ლეონიძის, 14. დღე: ში. რედაქციის — 93-41-30, 93-98-15; შიშ. ლიფტი — 93-41-30, 93-98-15. საბზ. რედაქციის — 93-98-18; განყოფ. — 93-10-32, 93-98-19, 93-98-16.

გადაცემა: სა-წიგნო 18/V-81 წ. ხელმოწერილი დასაბეჭდავი 6/VII-81 წ. ჰელადასი ზომა 6X10სმ, ფურც. ნაბ. ფურც. 25, ტირაჟი 168,000 ზედა № 1466. „დილა“ № 7, ჟურნალი მანანა შორჩილაძის, ია. გუგუნიძის ვაჟი. მთავარი რედაქტორი: მ. მაცაღარიანი. თბილისი, ულ. ლენინი, 14.

საბავშვო ჟურნალის  
საბავშვო ჟურნალის  
საბავშვო ჟურნალის  
საბავშვო ჟურნალის  
საბავშვო ჟურნალის  
საბავშვო ჟურნალის  
საბავშვო ჟურნალის  
საბავშვო ჟურნალის

გამომცემი  
საბავშვო  
საბავშვო  
საბავშვო  
საბავშვო  
საბავშვო  
საბავშვო  
საბავშვო



### პირველი დასაწყისი ხელოვნება

პირველი ხელოვნება

ბავშვებო! თქვენ ხედავთ, როგორ მსუბუქად დაკუნტრუშობს ბოხოლა, რა მოხდენილად ზის ყვავილზე ჭრელი პეპელა, რა იოლად დაფრინავს ჩიტუნა, რა ლაღად იფრქვევა კლდიდან ჩანჩქერი... რა აღერსიანად იღიმება თქვენი ლამაზი დედა, რა მკვირცხლად დანავარდობენ თქვენი

ტოლები და რა დარბაისილურად გადმოსცქერიან თქვენს თამაშს მაღალი მთები, შრილა ტყეები... ყველაფერი ეს ბუნებაში ჩვეული და იოლია, ზომ მართალია?

მაგრამ იცით, რა ძნელია ყოველივე ამის გადატანა ქალაქებზე, ტოლოზე, ქვაზე, ლითონზე, ბათქაშზე, ანუ სურათის, ქანდაკების, რელიეფის, ჩუქურთმის, ფრესკის შექმნა ისევე ლამაზად, დამაჯერებლად და სასიამოვნოდ, როგორც ეს ბუნებას შეუქმნია? ამას სახელით ხელოვნება ჰქვია, და რომ იტყვიან, ცით მომადლებული ნიჭი სჭირდება, მასთან ერთად კი — დიდი ცოდნა, ჯაფა, გულმოდგინება და საქმის სიყვარული.

ყველა დროისა და ხალხის გამოჩენილ ოსტატთა ნამუშევრები მსოფლიოს დიდ მუზეუმებში და გალერეებში ინახება და ყოველდღე ათასობით, მილიონობით ადამიანი ათვალიერებს მათ. ასეთებია პარიზის „ლუვრი“, მადრიდის „პრადო“, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენი“, დრეზდენის სურათების გალერეა, ლენინგრადის „ერმიტაჟი“, მოსკოვის

პუშკინის სახელობის მუზეუმი და ბევრი სხვა.

ხელოვნება იმდენი ხნისაა, რომ წარმოდგენაც კი ვაგივირდებათ. ძველი ეგვიპტელი ოსტატები, შუმერები, ბერძნები, ჩვენი წინაპრები ამ ოთხი-ხუთი ათასი წლის წინ ისეთ სურათებს ხატავდნენ, რომ თანამედროვე მხატვრები იმ ნიმუშების მიხედვით სწავლობენ. მეტსაც გეტყვით: თეთი პირველყოფილი ადამიანები თავიანთი სადგომი გამოქვაბულების კედლებზე და ქერზე საოცარი ოსტატობით ხატავდნენ მამონტებს, ირმებს, დათვებს; ბიზონებს; ნადირობის სურათებს. საფრანგეთში ლასკოს გამოქვაბული ისეთი ხელოვნებით არის მოხატული, რომ მას სახელგანთქმულ დიდოსტატთა რაფაელის, მიქელანჯელოს ქნლილებს აღარებენ. ლასკოს გამოქვაბულის უსახელო ოსტატები დაახლოებით ოცდაშვიდი ათასი წლის წინ ცხოვრობდნენ, მაგრამ მათი ნახატები იმდენად კარგად არის შემონახული, რომ შეცნიერებს ისინი დღეისათვის ახალი დროისა ეგონათ.

